სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის N70/2014 დადგენილებით განსაზღვრული თსუ პოსტდოქტორანტურაში კონკურსის წესით მიმღები კომისიის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ თსუ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის N128/2013 დადგენილებით (http://tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2013/1282013/) დამტკიცდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოსტდოქტორანტურის (პოსტდოქტორანტად დასაქმების შესახებ) დებულება“, „პოსტდოქტორანტურის სამეცნიერო დარგების/მიმართულებების ნუსხა“ და „პოსტდოქტორანტის კონკურსითა და ინდივიდუალური ფორმით ექსპერტის მიერ შეფასების წესი“. ხსენებული დადგენილებით განისაზღვრა პოსტდოქტორანტურაში კონკურსის ფორმით მიღების პირობები, ხოლო აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის N70/2014 დადგენილებით (http://tsu.edu.ge/ge/juridical/axad_council_resolutions/2014/712014/) 2014 წლის 1 სექტემბერს გამოცხადდა თსუ პოსტდოქტორანტურაში საკონკურსო წესით მიღება და დამტკიცდა შესაბამისი საკონკურსო კომისია.

მიღება გამოცხადდა 6 ვაკანტურ ადგილზე. განცხადებები და ზემოთმოყვანილი დადგენილებებით განსაზღვრული დოკუმენტაცია სრულფასოვანი და სრულყოფილი სახით, მიიღება 2014 წლის 1 ნოემბრიდან - 2014 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, კომისიის თავმჯდომარის სახელზე, თსუ პირველი კორპუსის (ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N1) N113 ოთახში, ყოველ სამუშაო დღეს 11^{00} საათიდან 13^{00} საათამდე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორისა და სისრულის შემოწმებას მოახდენს კომისიის მდივანი, რომელიც უფლებამოსილია შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში დადგენილი წესით მოითხოვოს არსებული ხარვეზის აღმოფხვრა.

კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ელიაშვილი - რექტორის მოადგილე.